მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ქ. თბილისი

01.09.2017წ.

წინამდებარე მინდობილობით **შპს „მექან“** რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: 416305830, იურიდიული მისამართი: ქ. რუსთავი, VIII მ/რ-ნი, კორპ. 7, ბინა 27 წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნ **ჯემ აიდემირის** (მისამართი: ქ. რუსთავი, VIII მ/რ-ნი, კორპ. 7, ბინა 27; პ/ნ 01097000675) სახით (შემდგომში „საზოგადოება“) უფლებამოსილებას ანიჭებს

ნათია ახალკაცი (დაბადებული 03.06.1992 წ., პ/ნ 01001069604, (შემდგომში „რწმუნებული“) ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, კერძო, სახელმწიფო, ადმინისტრაციულ და მუნიციპალურ ორგანოებში, მათ შორის სამეწარმეო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, შემოსავლების სამსახურში, ბანკებში, საბაჟო ორგანოებში, მერიის სხვადასხვა სამსახურებში, საჯარო რეესტრში, წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ურთიერთობაში, მესამე პირებთან ურთიერთობაში, მიიღოს გადაწყვეტილებები და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, კონტრაქტებს, ხელშეკრულებებს, გარიგებებს, შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს დაწესებულება-ორგანიზაციებიდან ცნობები, მოწმობები, დოკუმენტები, ამონაწერები და სხვა დოკუმენტები, მიიღოს მონაწილეობა აუქციონებში და გამოფენებში, აგრეთვე მართოს და განკარგოს საზოგადოებისკუთვნილი საბანკო ანგარიშები ნებისმიერ ვალუტაში არსებული საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მათ შორის სს „საქართველოს ბანკში“, სს „ლიბერთი ბანკში“, სს „თიბისი ბანკში“, სს „პროკრედიტ ბანკში“, სს „ბაზისბანკში“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში“, სს „ტერაბანკში“ და სხვა, აწარმოოს ნებისმიერი საბანკო, საფინანსო, საგადასახადო, საბაჟო, სალიცენზიო ოპერაციები, მათ შორის ანგარიშების გახსნა-დახურვა, თანხის შეტანა-გამოტანა, გადარიცხვა, კონვერტაცია, მიიღოს ინფორმაცია ანგარიშებზე არსებული ბალანსის შესახებ, მიიღოს ამონაწერები ანგარიშებიდან, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკით, აიღოს საგადასახადო ორგანოებიდან ანგარიშ-ფაქტურები, დაამზადებინოს ახალი პლასტიკური ბარათები კომპანიის სახელზე მათი გატანის უფლებით, რწმუნებულს ეძლევა უფლებამოსილება ანგარიშებზე არსებული თანხები გადაიტანოს მის მიერ გახსნილ ნებისმიერ ანგარიშზე იგივე ან ნებისმიერ სხვა ბანკში, დადოს და გააუქმოს გარიგებები და ხელშეკრულებები, მოახდინოს ელ.დეკლარირება, კომპანიის სახელზე მიიღოს ნებისმიერი გზით გამოგზავნილი ტვირთი და ამასთან დაკავშირებით აწარმოოს კანონით დადგენილი ნებისმიერი საბაჟო, საბროკერო, საკონტეინერო, სატერმინალო ოპერაცია, ფორმალობა და გაფორმება, (საბაჟო დეკლარაციის აღება, საბაჟო გადასახადების გადახდა და სხვა საბაჟო პროცედურების შესრულება), გახსნას კონტეინერი და უზრუნველყოს ტვირთის

1 ჯერ ვიერ შირ

ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე), აწარმოოს ფინანსური ანგარიშსწორება დღგ-ს ანგარიშფაქტურის ჩათვლით, გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები, აწარმოოს ანგარიშსწორებები საგადასახადოში, ბანკში, საბაჟოზე, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, გამოიყენოს კომპანიის ბეჭდი და შეასრულოს ყველა მოქმედება და ფორმალობა ამ დავალების შესასრულებლად.

ეს მინობილობა გაცემულია 1 წლის ვადით, შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

შპს „მექანის“ დირექტორი

ჯემ აიდემირი

ჯემ აიდემირი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180110521
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.02.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ელისო შიხიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ლესელიძის ქ.#17
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 93-30-83 599446826
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	15539339293318

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის ხუთ თებერვალს მე, ელისო შიხიაშვილი, ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ლესელიძის ქ. №17-ში, ვამოწმებ ჯემ აიდემირის (დაბ. 01.08.1987წ. მისი განცხადებით რეგ. რუსთავი, VIII მიკრო/რაიონი, N 7, ბინა 27, პირადი №01097000675) ხელმოწერას მინდობილობაზე. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვამოწმებ. ორი ხელმოწერა.
გადახდილია 4-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ 0-72 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი (სამი ეგზემპლიარისათვის) 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი